ექსპერიმენტის შუქჩრდილები

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 13 აპრილი. 52688 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) – “ჩერნომორეცი” (ოდესა) 1:1.

“დინამო”: ქანთარია, ჟორდანია, ჩივაძე, თევზაძე, არზიანი, ჩიქოვანი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჟვანია, შენგელია.

“ჩერნომორეცი”: რომენსკი, ჟარკოვი, ტრეტიაკი, იშჩაკი, პლოსკინა, სკრიპნიკი, ნაკონეჩნი, შჩერბაკოვი, პასულკო, ბელანოვი, საანო.

64 წთ. ჩივაძე, 79 წთ. ბელანოვი.

40 წთ. ჟვანიას ნაცვლად ცაავა, 60 წთ. შჩერბაკოვის ნაცვლად ფინკი, 68 წთ. პლოსკინას ნაცვლად რომანჩუკი, 78 წთ. შენგელიას ნაცვლად ჟორჟიკაშვილი.

მსაჯი: კირილ დორონინი (მოსკოვი).

კუთხურები: 8:5 (3:4).

დაჯარიმდნენ: თბილისელები 12 (7), ოდესელები 24 (9).

კარში დარტყმა: 15:6 (7:4), ზუსტი დარტყმა 4:2 (0:0), დარტყმა საჯარიმო მოედნიდან 6:3 (1:1).

ეს მატჩი თბილისელებმა საკმაოდ განსხვავებული სქემით ითამაშეს: ნახევარდაცვის ცენტრიდან დაცვის მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა სულაქველიძემ, მისი ადგილი ჟორდანიამ დაიკავა. ნახევარდაცვის მარცხენა ფრთა მიენდო ჩიქოვანს. ჟვანიას, რომელიც წინა სამ მატჩში თავდამსხმელად თამაშობდა, წინ წაწეული ნახევარმცველის მოვალეობის შესრულება მოუხდა.

შეხვედრის პირველი 15 წუთის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამ ექსპერიმენტს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები მოჰყვა. ზურგს უკან საიმედო მცველის (სულაქველიძის) ყოლამ სვანაძის თამაშს მეტი აგრესიულობა შემატა. ყოველ შემთხვევაში, სარეცენზიო მატჩი სვანაძემ წინანდელებზე გაცილებით უკეთ ითამაშა. გუცაევის გამოჩენამ (დისკვალიფიცირებული იყო სამი თამაშით), ბუნებრივია, გააძლიერა “დინამოს” თავდასხმის ხაზი, მაგრამ იმდენად არა, რომ ხელაღებით ვილაპარაკოთ ხარისხობრივ ცვლილებებზე. სასტარტო შემადგენლობის ყველაზე სუსტი ადგილი, ჩემი აზრით, მაინც ნახევარდაცვა იყო. ამ ზონაში ერთბაშად ორი ახალი ფეხბურთელის გამოჩენამ კიდევ უფრო დაასუსტა ნახევარმცველთა ისედაც სუსტი ურთიერთკავშირი. აშკარად ვერ გაართვა თავი მოვალეობას ჟვანიამ. სავსებით საღსალამათი ცაავას სათადარიგოთა შორის ყოფნა, შესაძლოა წინასწარ მოფიქრებული, მეტოქისთვის მხოლოდ მეორე ტაიმში შესათავაზებელი სიურპრიზი იყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სვლა მთელი პირველი ტაიმის უპერსპექტივო თამაშის ხარჯზე ცოტა არ იყოს ძვირად ღირებულ ჩანაფიქრად იქცა.

კიდევ გავიმეორებ, რომ “დინამოს” თამაშის ზემოხსენებული ყველა ნათელი და ჩრდილოვანი მხარე პირველ თხუთმეტ წუთშივე გამოიკვეთა. ამ მონაკვეთში და მერეც, ტაიმის ბოლომდე დინამოელთა მოქმედებაში აქა–იქ თუ გამოკრთებოდა ერთიანი ჩანაფიქრი, განსაკუთრებით უსიამო სანახავი იყო შეტევის დასკვნითი ნაწილი. სწრაფი, არასტანდარტული კომბინაციის ნაცვლად, მასპინძლები საჯარიმოსთან მიახლოებისთანავე ანელებდნენ ტემპს და ელემენტარული გაგრძელების მოძებნასაც

კი იმდენ დროს ანდომებდნენ, რომ “ჩერნომორეცის” მცველებს ამ ორმოცდახუთ წუთში პრობლემაც არ გასჩენიათ.

კაცმა რომ თქვას, არც სტუმრებს შეუწუხებიათ თბილისელთა მეკარე. მთელ პირველ ტაიმში ქანთარიას ერთხელაც არ მოუგერიებია მეტოქის დარტყმული ბურთი. თუმცა სახიფათო მომენტები მაინც იყო ჩვენს საჯარიმოში. მე–6 და მე–7 წუთებზე, რომ იტყვიან, ბევრი აღარაფერი უკლდა გოლს.

ოთხჯერ, მე–15, 27–ე და 42–ე წუთებზე თბილისელთა ყველა სახიფათო იერიშში უცვლელად მონაწილეობდა გუცაევი. გოლის გატანის ხელსაყრელ პოზიციაში იყვნენ თევზაძე, სულაქველიძე და თავად გუცაევი.

ზევით ვთქვი, ქანთარიას ერთხელაც არ მოუგერიებია–მეთქი დარტყმა. სამაგიეროდ “დინამოს” გოლკიპერს რამდენჯერმე მოუხდა მცველის მოვალეობის შესრულება. ეს ფაქტი ჩვენს მცველებზე კარგს არაფერს ამბობს. ისევე, როგორც 37–ე წუთზე თბილისელთა კართან შექმნილი სიტუაცია – შჩერბაკოვი და ბელანოვი თითქმის მარტონი აღმოჩნდნენ მეკარესთან პირისპირ.

მეორე ტაიმში სურათი მკვეთრად შეიცვალა. შეიცვალა, უწინარეს ყოვლისა, ცაავასა და ჩივაძის ხარჯზე. საკმარისია ითქვას, რომ თბილისელთა თითქმის ყველა კომბინაციასა თუ შეტევაში ამ ორი ფეხბურთელის ხელი ერია.

51–ე წუთზე “დინამოს” კაპიტანმა შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, ასევე შესანიშნავად ითამაშა მეკარე რომენსკიმ?... ორი წუთის შემდეგ კვლავ გამეორდა სიტუაცია – ამჯერად ბურთი ოდნავ აცდა სტუმართა კარს. ცოტა ხნის მერე რომენსკიმ ისევ გამოიჩინა თავი ცაავა–გუცაევი–ცაავას კომბინაციის შემდეგ.

აქედან მოყოლებული ოდესელთა კართან ზედიზედ იქმნება საგოლე სიტუაციები, მაგრამ წინა მატჩში დაშვებულმა შეცდომებმაც იჩინეს თავი – მასპინძლები ზედმეტად ერთობიან იერიშით.

62–ე წუთზე ცაავას მშვენიერი პასის შემდეგ სვანაძე ორჯერ ურტყამს კარისკენ – რომენსკი კვლავ კარგად თამაშობს.

64–ე წუთი. ჩივაძის ოსტატური გადაცემა. მეკარესთან პირისპირ გასული შენგელია მცველმა წააქცია – პენალტი. თბილისელთა კაპიტნის დარტყმა უნაკლო გამოდგა – 1:0.

მოსალოდნელი იყო, რომ მასპინძლები ამის შემდეგ მაინც იზრუნებდნენ ზურგის გასამაგრებლად. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. 79–ე წუთზე საჯარიმოში შეჭრილ ბელანოვს დროზე მიაწოდეს პასი პარტნიორებმა და ოდესელმა ფეხბურთელმაც არ დააყოვნა – არც თუ ძლიერმა, მაგრამ ზუსტმა დარტყმამ მიზანს მიაღწია – 1:1.

მატჩის დამთავრებამდე კიდევ რჩებოდა 11 წუთი. ასეთ ვითარებაში ნებისმიერი ყოველ შემთხვევაში, საკუთარ მინდორზე მოთამაშე გუნდი მაინც არ კარგავს იმედს და ბოლომდე იბრძვის გამარჯვებისთვის – 11 წუთი ხომ არც ისე ცოტაა ფეხბურთში. საოცარია, მაგრამ ფაქტია – თბილისელებმა მეტოქეს ერთხელაც კი ვერ შეუტიეს ხეირიანად. ამაში ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ ავადმყოფობას ქრონიკულის ნიშნები უჩნდება. ასეთი ტვირთით კი, რა მტკიცება უნდა, და შორს ვერ წავალთ.

ირაკლი ბერიაშვილი.

დუბლიორთა მატჩი

12 აპრილს გაიმართა თბილისის “დინამოსა” და ოდესის “ჩერნომორეცის” დუბლიორ ფეხბურთელთა კალენდარული შეხვედრა. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა, ბურთები გაიტანეს გურულმა, ჭედიამ და კაკილაშვილმა.

თბილისის “დინამოს” შემადგენლობა: ბალაძე, მიქაბერიძე (უკლება), ჭილაია, ჭედია, მაისურაძე, კაკილაშვილი, სიჭინავა (ბარათაშვილი), ცხოვრებაშვილი (მახარაძე), გურული, გოგრიჭიანი, ქოჩქიანი (ჩქარეული).

“ლელო”, 14 აპრილი, 1984 წ.